წლიწადი მესამე

შაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 18 (1) № 255

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15╳2=8 მანეთი, 20╳2=10 მანეთი, 30╳2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

ხმებია, ამ თვის 19, გერმანელები და რუსები დროებით ზავზე შესთანხმდებიანო.—დამფუძნებელ კრებაში მხოლოდ 34 ოლქი მონაწილეობს.—ლენინის დეკრეტით, სახალხო კომისრების საბჭომ 25 მილიონი მანეთი უნდა მიიღოს ხაზინიდან.—პეტროგრადში აჯანყების პირველ დღეებში მოკლულია 75 ათასი კაცი, ხოლო მოსკოვში 5 ათასი.—ბოლშევიკებს 34 ქალაქში ჰქონიათ პირდაპირი მავთული.

### წერილებიდან

ზ. ქ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა და საქართველო.
პრ.-დოც. ალ. ჯავახიშვილი. ქართული სწავლა-განათლება.
არგონ. ყაჩაღობასთან ბრძოლა.
ქართული პრესა. სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა.

მ. ჯანაშვილი. მოწინავე რაზმი. (გაგრძელება).
თამ. ასლანიშვილი. სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა.
კორესპონდენცია ბორჩალოდან.

კნ. კონსტანტინე გიგის ძე ჯანდიერი, შვილები მისი გიგი და გიორგი კონსტანტინეს ძენი ჯანდიერები, ელენე კონსტანტინეს ასული დეკანოზიშვილისა, ბარბარე კონსტანტინეს ასული ქარუმიძისა და სიძე კონსტანტინე გიორგის ძე ქარუმიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 16 ნოემბერს, გარდაიცვალა, პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორენის საყვარელი დედა და უკანასკნელის სიდედრი

კნ. მელანია დავითის ასული

ჯანდიერისა

პანაშვიდი ყოველ დღე სღამოს 6 საათ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. თბილისი, ბარიატინის ქუჩა № 14.

1—873—1

ივანე, (იგივე თემურკა) გიორგის ძე, ეკა ხუხუნომას ასული, კონსტანტინე და ალექსანდრე ივანეს ძენი, ნინა, დომინიკა, ვალენტინა და მარიამ ივანეს ასულნი გაბილიები ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას პირველის საყვარელ მეუღლის, მეორის ძლისა და დანარჩენთა ძვირფასი დედის

მართა სიმონის ასულის

გაბილიასას

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სამშაბ. გიორგობისთვის 21. პანაშვიდები იქნება ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. ქ. ფოთში მერძნის ქუჩა.

1—872—1

საჯარო ვაჭრობა

გიორგობისთვის 17-ს ყარაიაზში საერობო კავშირის 200 ცხენი საჯაროდ გაიყიდება.

3—387—2

იყიდება

სხვა და სხვა სურნელი

პუდრი, საპონი, ოდეკოლონი, კრემის წამალი და სხვა საპირფარეშო საზმარი წამლები.

მისამართი: კ. ი. გვათუას, ვერის დაღმართი № 1.

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—20

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

## გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

## მამულიშვილნო!

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის** მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა... მთელი ამიერეთი და იმიერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავისი თავი და მიაღწიოს თავისუფლებას.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** იცავს კერძო შესაკუთრეს უფლებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრების, კერძო თაოსნობის და კერძო შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გამოღვიძება, განათლება და გამრავლება.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** მოითხოვს რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოისყიდოს იძულებით დიდი მამულები და გადასცეს იგი უმამულო მიწის მუშას, გლეხს სრულ საკუთრებად, იმ წესით, რა წესსაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დაადგენს...

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** მოითხოვს ქართულ მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

**მამულიშვილნო!**

ვისაც გწამთ რომ მთლიანი თავისუფალი საქართველო კერძო შესაკუთრეს თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული,

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას № 8-ს.

**მესაკუთრენო!**

გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს!

მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს ინტერესებს, როგორც რუსეთის ისე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე.

## მიეცით ხმა საარჩევნო სიას №

# 8

1. **ქედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ყურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

— არჩევნები სოფლად 19 გიორგობისთვეს თავდება —

# ამიერ კავკასიის რესპუბლიკა და საქართველო

ამიერ კავკასიის რესპუბლიკის დაარსება, რაიცა ამ ორიოდე დღის წინად მოხდა, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს პოლიტიკურს ცხოვრებაში. საქართველოს მომავალმა ეროვნულმა ყრილობამ, უწინარეს ყოვლისა, ამ მოვლენას უნდა გაუწიოს ანგარიში. ამიერ კავკასიის რესპუბლიკის ბედი სხვათა შორის ჩვენი ეროვნული ყრილობის დასტურსა თუ უარყოფაზეც იქნება დამოკიდებული.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ახლად გამოცხადებულ რესპუბლიკასა და მის მთავრობასთან? პოლიტიკაში ანგარიშში ჩასაგდებია მხოლოდ რეალური ძალები და არა ფორმალური დეკრეტები ან დეკლარაციები, ძალთა განწყობილების თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ამიერ კავკასიის რესპუბლიკურ კომისარიატსაც. თავის თავად ცხადია, რომ რა სახელიც არ უნდა უწოდოს ამ კომისარიატმა თავის თავს, ის ჯერ-ჯერობით უფრო ცოცხალი სხეულის ჩანასახს წააგავს, ვიდრე განვითარებულ და მომწიფებულ პოლიტიკურს ორგანიზმს. მას აკლია ნამდვილი მთავრობის არსებითი ატრიბუტები: საკუთარი ჯარი და საკუთარი ფინანსები; ამას გარდა ის ჯერ ცნობილი არ არის არც ცენტრალური მთავრობისა, არც უცხო სახელმწიფოების მიერ. ასეთი ნორჩი პოლიტიკური სხეული შეიძლება ან განვითარდეს ან ჩაკვდეს გარეშე პირობების მიხედვით.

ჩვენის აზრით ამიერ კავკასიის რესპუბლიკა ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებაში და არა ამ განვითარების დასასრული. მაგრამ ეს ისეთი საფეხურია, რომელიც ქართველ ერს გამოადგება ზევით ასასვლელად.

ერთი მხრივ, უეჭველია, რომ არ შეიძლება ამიერ კავკასიის რესპუბლიკა დღეგრძელი იყოს. ამ პოლიტიკურ ერთეულს არ აქვს ისტორიული ტრადიციები. ამიერ კავკასიის ცნება უფრო გეოგრაფიული ცნებაა ვიდრე კულტურული ან პოლიტიკური, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ეს ცნება იცვლებოდა და ფართოვდება რუსის ლაშქრის წინსვლელობასთან ერთად. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ბოლოს ამიერ კავკასიის ფარგლებში მოექცა ისეთი ჰეტეროგენული ანუ შეუსაბამო ელემენტები, როგორიც ადერბეიჯანი, დაღისტანი, მცირე სომხეთი, საქართველო და ლაზისტანია.

რასიულად და კულტურულად ეგრედ წოდებული ამიერ კავკასია ბევრად უფრო გათიშულია, ვიდრე შვეიცარია ან მაკედონია. ქართველობა უეჭველად თანამედროვე ერების წრეს უახლოვდება როგორც პოლიტიკური აღზრდითა, ისე კულტურული ტრადიციებით. მეზობლები მეტ ნაკლებათ ჩამორჩენილნი არიან. ზოგიერთი მათგანი ფაქტიურად წარსულ საუკუნეს ეკუთვნის, ზოგიერთი კიდევ უფრო შორეულ ისტორიულ ფორმაციას. ასეთს მდგომარეობაში მეტის-მეტად ძნელდება თანამშრომლობა. ამ სიძნელეს მეფის მთავრობაც კი განიცდიდა, ახალი რესპუბლიკის მთავრობა კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობს. ყოველი წვრილმანი საკითხის გადაწყვეტაში თავს იჩენს გარდაუვალი წინააღმდეგობა. ენერგია და დრო გამთიშავ ძალთა გადაფუჩეჩებასა ან მორიგებაში წავა. ბოლოს ყველა იგრძნობს გამიჯვნისა და განკერძოების მოთხოვნილებას. შემდეგი საფეხური საქართველოს სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკების დაარსება იქნება.

მაგრამ ჩვენ ხელოვნურად არ უნდა დავაჩქაროთ ეს ობიექტური პროცესი. დაე, ამიერ კავკასიის რესპუბლიკამ დაუბრკოლებლივ ამოსწუროს თავისი თავი. ეს გარდუვალი პოლიტიკური ფორმაცია ხელსაყრელია ჩვენი ეროვნული ენერგიის შესანარჩუნებლად და გასაშლელად; განსაკუთრებით დღეს, როცა ფრონტიდან ორმაგი შემოსევის საფრთხე მოგველის და შეიძლება ხვალეც, როცა საბოლოოდ ჩვენი ტერიტორიის ფარგალი უნდა გამოირკვეს. მტრული ჯარების შემოსევის მოლოდინში ყველა უმცირესი დამხმარე ფაქტორიც კი უნდა გამოვიყენოთ. ამ მოლოდინმა კი შეიძლება დროებით მაინც შეაკავშიროს კავკასიის ერები, მეორე მხრივ ამიერ კავკასიის რესპუბლიკა [illegible]

ბი ამიერ კავკასიის რესპუბლიკაში უფრო უმტკივნეულოდ შევლენ, ვიდრე საქართველოს თვითმართველობაში. მაგრამ ეს ითქმება არა მარტო აფხაზეთსა და საინგილოსა, არამედ საქართველოს ყველა სადავო პროვინციებზე. სიჩქარით შეიძლება მთელი სამხრეთი ნაწილიც დავკარგოთ და შემდეგ თავსამტვრევად გავიხადოთ „გამოუსყიდავი საქართველო".

მოსალოდნელია, თითქმის უეჭველიც, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკა უფრო კონკურენციის ასპარეზი იქნება, ვიდრე თანხმობის ბუდე. მაგრამ თუ ქართველობას თავისი თავის იმედი აქვს, უდროოდ არ უნდა შესწყვიტოს შეჯიბრება. ასეთი შეწყვეტა სუსტებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ძლიერისათვის.

გ. ქ.

## ქართული პრესა

### სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა

გაზეთი „ერთობა" ეხება დღევანდელ პირობებით გამოწვეულ ახალ მდგომარეობას, როგორც ამიერ კავკასიაში ისე საქართველოში. და გამოსთქვამს თავის აზრს მორიგ საკითხებზე: **საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე.**

გაზეთი აღნიშნავს, რომ თავადაზნაურობის ქონების სალიკვიდაციოთ, რომელიც ახლა ხალხის საკუთრებათ უნდა ჩაითვალოს კარგი იქნებოდა ყრილობის მოწვევა საყოველთაო საარჩევნო უფლებით, მაგრამ რადგან ეს არ მოხერხდა ინტერპარტიული საბჭო შეჩერდა დროებით ისეთ საშუალებაზე, რომელიც უახლოვდება ასეთ წარმომადგენლობას, ამ ყრილობის მნიშვნელობაზე გაზეთი დასძენს:

„აქ სდგება ფონდი მომავალი ეროვნული თვითმართველობისათვის, რომლის ხელშიაც საბოლოოთ უნდა გადავიდეს მთელი ეს ქონება. ამიტომ 19 ამ თვისთვის დანიშნული ყრილობა და მისი შექმნილი ორგანო პატრონებს ამ ქონებას. მხოლოდ ამ ნამდვილი პატრონის მოსვლამდე, ე. ი. საქართველოს თვითმართველობის შედგენამდე.

ასეთია ამ ყრილობის მოწვევის მთავარი დანიშნულება. მაგრამ იგი მარტო ამ საკითხით ვერ დაკმაყოფილდება. ყოველი ყრილობა დღეს, რა შემადგენლობისაც უნდა იყოს იგი, ვერ ასცდება იმ საჭირბოროტო კითხვების განხილვას, რომელიც რუსეთის დღევანდელმა სინამდვილემ წამოაყენა.

ერთი მხრით ყრილობამ უნდა იზრუნოს ამ მომავალი თვითმართველობის რაც შეიძლება ადრე დაარსებაზე, უნდა იზრუნოს ისეთ პირობების შექმნაზე, რომელიც შესაძლებლად გახდის მის განხორციელებას. ეს კი უკვე პოლიტიკური საკითხებია და შეუძლებელია მისი გარკვევა, საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის გაურკვევლად. ამ რიგათ ყრილობას ეჭვი არაა დასჭირდება თავის ეკონომიურ ფუნქციის გარდა—ფართედ დააყენოს მთელი ამ მხრივ, საქართველოს მომავალი ორგანიზაციის საკითხი და ამით მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს ადგილობრივ ცხოვრების მოწესრიგებას. ამიტომ ამ ყრილობას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში, და ყველა დაწესებულებები, რომლებსაც კი მაზე წარმომადგენლობა აქვთ,ვალდებული არიან სათანადო ყურადღებით მოეკიდონ 19 ნოემბრის ყრილობას..

**სოციალურ რეფორმებზე,** იმავე ნომერში „ერთობა" აღნიშნავს ამიერ კავკასიის ახალი მთავრობის შედგენის სარგებლობას და ჩამოსთვლის იმ რეფორმებს რომელიც უნდა შემოიღოს ამ მთავრობამ დაუყოვნებლივ:

„დღემდის ძირითადი რეფორმების მოხდენას ჩვენ დამფუძნებელი კრების საშუალებით ვცდილობდით. მაგრამ მისი მოწვევა დაგვიანდა. ასეთ პირობებში რეფორმების განხორციელება ადგილობრივმა მთავრობამ და დამფუძნებელი კრებისთვის არჩეულმა დეპუტატებმა უნდა იკისრონ. აქ **პირველ რიგში მიწის საკითხი უნდა წამოვაყენოთ.** სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ დემოკრატიული თათბირის წინ მოითხოვდა მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას და მის ადგილობრივ თვითმართველობათა და მიწის კომიტეტების ხელში გადასვლას. ამ გზას დაუყოვნებლივ უნდა დაადგეს [illegible]

„ჩვენ ვერ შევუდგებით ყველა საჭირო რეფორმათა ჩამოთვლას. საერთოთ უნდა აღვნიშნოთ: დროა უმოქმედობას ბოლო მოეღოს და ადგილობრივი დემოკრატია შეუდგეს რევოლიუციის მიერ წამოყენებული კითხვები აქვე გადასჭრას, სანამ რუსეთი შესძლებს ანარქიის თავის დახწევას და დამფუძნებელი კრების მოწვევას. საჭირო იქნება სკოლის ნაციონალიზაციის საქმის დამთავრება, სკოლის ეკლესიისაგან გაცალკევება და სხ."

**ქართულ ჯარს** გაზეთი მოუხმობს რომ ერთგული დამცველი იქმნეს წესრიგის და ზურგი გაუმაგროს ახალ მთავრობას, რომლის კონსტრუქცია ეხლა ხდება ამიერ-კავკასიაში. ეს მოწოდება ასე თავდება:

„ამით მოგმართავთ თქვენ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცებო: ჩაეწერეთ ქართველ პოლკებში, სადაც ქართულ ენაზე იქნება ლაპარაკი, რომ მის გადემოკრატებას ხელი შეუწყოთ. დეზერტირებო! გაასწორეთ თქვენი შეცდომები ქვეყნისა და თავისუფლების წინაშე. დაუბრუნდით თქვენი მოვალეობის ასრულებას. თუ უწინ კიდევ გქონდათ რაიმე საბუთი ჯარისკაცების მოვალეობას გაქცეოდით, დღეს ხომ არავითარი თავის გამართლება არ შეგიძლიათ.

მაშ ჩაეწერეთ ქართულ პოლკებში და გადააქციეთ ისინი რევოლიუციის და დემოკრატიის ბურჯად".

# ომი და ზავი

## დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**მოგძღვდი ლაშქარი.** გიორგ. 10. დოპუჯრეისთან მტრის 4-მა საფრენმა იერიში მიიტანა ერთ ჩვენ საფრენზე, რომელზედაც იყვნენ მფრინავები პოროჩიკი ორლოვი და მანსვეტაშვილი. მცირე ბრძოლის შემდეგ საფრენი ძირს ჩამოვარდა. ზედ მყოფნი დაიხოცნენ.

**მოგძღვდი ლაშქარი.** გიორგ. 10.

**სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.** გუშინ ლიუპიტ-სენგიმის მიდამოებში მტრის დიდმა მზვერავთა რაზმმა სიბნელით ისარგებლა და ჩვენს მავთულის ხლართებზე იერიში მოიტანა. ჩვენმა არტილერიამ საატიკი სროლა აუტეხა და მტერი განდევნა.

**მოგძღვდი ლაშქარი.** გიორგ. 10.

**რუმინეთის ფრონტი.** მდ. პრუტის სამხრეთით სოფ. ლიკოვიცეს მიდამოებში ჩვენმა არტილერიამ მტრის მოდარაჯეთა რაზმი გაჰფანტა.

**დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები.** სროლაა. რამდენიმე ალაგას დამმობილება მოხდა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა.

**რუმინეთის ფრონტი** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** (გიორგობისთვის 24 საათის 14-ზე). მთელ ფრონტზე და მე-7 ცალკე კორპუსის ხაზზე არსებითი არა მოხდარა. პირველ საკავალერიო კორპუსის ხაზზე, სენნეს მიდამოებში ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მოსპო ქურთ ყაჩაღების ბრბო.

**კავკასიის ფრონტი.** სროლა და მზვერავ რაზმების მოქმედება. ზღვის პირის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს ოსმალთა მზვერავ რაზმზე და 2 ასკერი ტყვედ წამოიყვანეს. როკსის მიმართულებით ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მტრის მოდარაჯეს შეუტია და ერთი ნაწილი ამოჰხოცა.

### ზავის გარშემო

#### სეპერატიულ ზავის უარყოფა.

გიორგობისთვის 9-ის „პრავდას"-ს ცნობით ტროცკიმ ხელი მოაწერა იმ დეკრეტს, რომლითაც ცხადდება, რომ რუსეთი სეპარატიულ ზავით არ შეეკვრის გერმანეთს, არამედ ეცდება საერთო ზავის ჩამოგდებას.

#### გერმანული გაზეთის აზრი.

„ფოსიშე ცაიტუნგი" სწერს: სულ ერთია, მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ ვინ იქნება რუსეთის მმართველობის სათავეში. რუსეთისათვის ზავის საკითხი მუდამ მთავარი საკითხი იქნება და მთავრობას ურჩევს, მოურიგდეს რუსეთს, საყოველთაო ზავის პირობათა შემუშავებამდე.

#### გერმანეთის რევოლიუციის შესახებ.

„ფორვერცი" სწერს: გერმანეთში ვერ გაჰბედავენ რევოლიუციის მოხდენას, რადგანაც რევოლიუცია მოსპობს იმ პარლამენტარიზმს, რომელიც მშვიდობიანი გზით მოვიპოვეთ.

#### ბოლშევიკების ქადილი.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსს ანტონოვს უთქვამს, სახალხო კომისართა საბჭო ზავს მაინც ჩამოაგდებს, თუნდაც მთელ ქვეყანასთან მოუხდეს ბრძოლაო.

#### ცდა ზავის ჩამოსაგდებად.

პრაპორშჩიკ კრილენკოს სახალხო კომისართების საბჭომ მეორედ დაავალა, რადგაც უნდა დაუჯდეს, ჩამოაგდოს დროებითი ზავი.

#### ფრანგული პრესა.

პიშონი „პტი ჟურნალ"-ში სწერს: „ის „სამართლიანი ზავი", რომლის შესახებაც დეპუტატთა საბჭო ლაპარაკობს—მხოლოდ გერმანული ზავია. თუ პატრიოტული რუსეთი თვით ჩარგავს თავის-თავს ამ კატასტროფაში, მოკავშირეთა უპირველესი მოვალეობა იქნება თვითონაც არ ჩაჰყვეს ამ კატასტროფაში.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### გლეხთა ყრილობის რეზოლუცია

გლეხთა ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს გლეხთა საბჭოსა და მუშ. და ჯარ. აღმასრულებელ კომიტეტების შეერთებას. ყველა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელთაგან უნდა შესდგეს მტკიცე მთავრობა, რომელმაც უნდა განახორციელოს საბჭოების მეორე ყრილობის პროგრამა: დამფუძნებელ კრების თავის დროზედ მოწვევა, ზავის საკითხის გადაჭრა და სხვა.

### კრილენკოს დაბრუნება

ბოლშევიკების მიერ უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნული პრაპორშჩიკი კრილენკო ბანაკიდან პეტროგრადში გაიწვიეს. ბანაკი კრილენკომ ვერ ჩაიგდო ხელში.

### მენშევიკების დატუსაღება

პუტილოვის ქარხანაში გამართულ მიტინგზე ბოლშევიკების წინააღმდეგ ილაპარაკეს მენშევიკების ორატორებმა, რომლებიც მაშინვე დაატუსაღეს.

გიორგობისთვის 9-ს „ვოლნოსტი" გადმოგვცემს, რომ პეტროგრადისაკენ მიმავალი 3000 ვაგონი სურსათი შეაჩერეს.

### პარვუსი განეცკი.

ბოლშევიკურ „პრავდას" ცნობით პეტროგრადს ჩასულა განეცკი.

### პირდაპირი მავთულები.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგანო „ნაროდი" გადმოგვცემს: ამ ჟამად (გიორგობისთვის 9) სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის ხელშია 34 ქალაქის [illegible]

მავთული აქვს ქალაქ ომსკში და ეკატერინბურგში.

### დეპეშათა სააგენტოს განცხადება.

სააგენტოს მოსამსახურეთა კომიტეტი აცხადებს, რომ ღვინობისთვის 28-დან მოსამსახურეებმა მუშაობა შესწყვიტეს და პ. სუხს არ ეგებენ სააგენტოს მოქმედებაზე. კომიტეტის განცხადება გამოწვეულია იმით, რომ გაზეთებში სააგენტოს ცნობები თავსდება.

### ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაცია

კერენსკოლის პოლკის კომიტეტმა ითათბირა კრილენკოს მიერ წარდგენილ პროექტზე, რომელიც შეეხება ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაციას. კომიტეტმა ერთხმად აღიარა, რომ ეს პროექტი ცხოვრებაში უნდა გაატარონ.

### საზღვაო იუნკრების განთავისუფლება

ბოლშევიკებმა უკვე გაანთავისუფლეს საზღვაო სამხედრო სასწავლებლის 100 მოწაფე, რომელნიც ღვინობისთვის 25 კრონშტადტში ჩაამწყვდიეს.

### კორნილოვის კანდიდატურის მოხსნა

**მოგძღვდი ლაშქარი.** გიორგობისთვის 10. დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის შემდგარმა საფრონტო კომისიამ ღვინობისთვის 29 სლავიანთა ლამკვრელ პოლკის სოციალ-დემოკრატთა ერთი ჯგუფისაგან მიიღო დამფუძნებელ კრების კანდიდატთა სია, რომელშიაც გენერალი კორნილოვის გვარია. რადგანაც სიამ დაიგვია- [illegible]

## უდანოვის შეპყრობა

შეიპყრეს და სმოლნში აიყვანეს დასავლეთის ფრონტის კომისარი კ. ა. ჟდანოვი.

## მსხვერპლის რაოდენობა

აჯანყების პირველ დღეებში მოუკლავთ სულ 75 ათასი კაცი.

## საზამთრო სენობის განძეულობა

გიორგობისთვის 9-ის „ნოვაია ჟიზნ"-ის ცნობით ამბოხების პირველ დღეებში საზამთრო სენობიდან 2 მილიონ მანეთის განძეულობა გაუტაცნიათ.

გიორგობისთვის 7-ის „ნოვაია ჟიზნი" გადმოგვცემს: მოსკოვში აჯანყების პირველ დღეებს 5000 კაცამდე შეეწირაო.

## პეტროგრადის მეციხოვნეთა დეზერტირობა

პეტროგრადის მეციხოვნეთა ნაწილებში მეტად გაძლიერდა დეზერტირობა. სამსახურს სტოვებენ და გარბიან უმთავრესად ხანში შესული ჯარისკაცები.

## გერმანელები ბოლშევიკების ჯარში

სოციალისტურ გაზეთების ცნობით ბოლშევიკთა ჯარში მრავლად ყოფილან ციმბირიდან ჩამოსული ტყვე-გერმანელები.

## ბოლშევიკების სიცრუე

გიორგობისთვის 5-ის „ედინსტვო" გადმოგვცემს: ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო და პროვინციებში ცრუ ხმებს ავრცელებენ. მაგალითად მათ გაუვრცელებიათ ხმები ვითომც კერენსკიმ თავი მოიკლა, უკვე სრული სიმშვიდე ჩამოვარდა და სხვა.

## სახალხო განათლების სამინისტროში

გიორგობისთვის 8-ში სახალხო განათლების სამინისტროს არ უმოქმედნია. მოსამსახურენი კომისარ ლუნაჩარსკის არ ღებულობენ.

## ქალთა პოლკის დაშლა

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა დაადგინა დაშალოს მოხალისე ქალთა სამხედრო კავშირი, კავშირის ფულით კი ქალებს კაბები უყიდეს, რადგანაც მათ არა სურთ ჯარისკაცის ტანისამოსში სიარული.

# მოსკოვში

## ლუკმა პური 500 მანეთი

ქუჩებში დიდი სისხლის ღვრის დროს შინიდან გარედ არავინ გამოდიოდა და ხალხი შიმშილით იხოცებოდა. ერთ მოქალაქეს ერთი ლუკმა პურში 500 მანეთი მიუცია.

## რკინის გზის კავშირის ბრძანება

სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირმა უბრძანა ბანაკში მყოფ თავის წარმომადგენლებს, დაუყოვნებლივ დასტოვეთ თათბირი და უკან დაბრუნდითო. თათბირი, როგორც ვიცით, ახალ მთავრობის შესადგენად უნდა მომხდარიყო.

## სამხედრო ყრილობის რეზოლიუცია

კიევში მოხდარმა უკრაინის სამხედრო ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს ცენტრალ რადისაგან, რომ მან ფორმალურად გამოაცხადოს უკრაინის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც თავის მართველობაში სრულ დამოუკიდებლობით უნდა სარგებლობდეს.

## უმაღლეს სასწავლებლებში

გიორგობისთვის 8 ში სტუდენტების საერთო კრებამ განიხილა სწავლის დაწყების საკითხი. კომერციულ ინსტიტუტის, ქალთა უმაღლეს კურსების და პოლიტეხნიკუმის წარმომადგენლებმა სწავლის დაწყება მოითხოვეს. კრებამ ხმის უმეტესობით იანვრის 15-დე გადასდო სწავლა.

## ბანკები

გიორგობისთვის 8-ში ბანკები ღია იყო 11 საათიდან პირველამდე. თვითეულ პირს 1,000 მანეთზე მეტს არ აძლევდნენ.

## გიმნაზიელების ბედი

სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა მედვედნიკოვის გიმნაზიის მოწაფეთა ჯგუფი დაატუსაღა, აჯანყებას ჩასაქრობად მონაწილეობას რად იღებდითო. გიმნაზიელებს ფრონტზე უბრალო ჯარისკაცად გაგზავნას ემუქრებიან.

# პროვინციაში

## დამშეული ყაზახები

ხარკოვის გუბერნიას მოადგნენ ჩრდილოეთის დამშეულ გუბერნიებიდან ყაზახები და სურსათ-სანოვაგეს ერთი ორად, ყიდულობენ გლეხებისაგან.

## მდგომარეობა სიმბირსკში

ქ. სიმბირსკში ამ ორი კვირის წინად ჩაუვარდათ ხელში ბოლშევიკებს. მთელი ქალაქი აოხრებულია. სავაჭროები და სადუქნებიც კი დარბეული და განადგურებული.

## ყაზანის მოწყვეტა

ყაზანს ბოლშევიკები მძიმე არტილერიას უშენენ. ქალაქთან ყოველივე კავშირი შესწყდა.

## მონარქისტთა კავშირი

ყირიმის მონარქისტები მჭიდროდ შეკავშირდნენ შემდეგი ლოზუნგით: „წინ, მეფისა და წმინდა რუსეთისათვის". კავშირს დაუდგენია ფართედ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში, აშკარად დაიწყოს მოქმედება და წამოაყენოს კანდიდატთა საკუთარი სია, რომელშიაც შედიან: შულგინი, პურიშკევიჩი, გენ. დრაგომიროვი, ბრუსილოვი, სტრუვე და სხვები.

## მდგომარეობა ხარკოვში

ტყუილი გამოდგა ის ხმები, ვითომც გენ. კალედინმა ალყა შემოარტყა ქ. ხარკოვს. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ ხარკოვში სრული სიწყნარეა. მთავრობა სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის ხელშია. კომიტეტში 5 სოციალისტ-რევოლუციონერი შედის და 2 ბოლშევიკი.

## გალაშქრება სარატოველ ბოლშევიკებზე

ორენბურგში სამხედრო ატამანმა ლუტოვმა ყაზახებისათვის სარატოველ ბოლშევიკებზე გალაშქრება უბრძანებია.

## ვიტებსკის ბოლშევიკები

ვიტებსკში ბოლშევიკებმა გარეკეს გუბერნიის კომისარიატი და მისი ბინა მიისაკუთრეს.

# დამფუძნებელ კრების არჩევნები

## პეტროგრადში.

დამფუძნებელ კრების არჩევნებმა მოლოდინს გადააჭარბა. საარჩევნო კომისიებთან ამომრჩეველთა კუდებს გზა არ ეძლეოდათ. ცენტრალ რაიონებში ინტელიგენცია სჭარბობდა. ექსცესები არ მომხდარა.

## პროვინციაში.

არჩევნები წყნარად მიდის. ტვერში საარჩევნო აგიტაცია ნორმალურია. ოდესაში არჩევნებს უხალისოდ შეხვდნენ. კადეტებს გამარჯვება ხვდებათ. სარატოვის ზოგიერთ უბნებში ამომრჩევლები არ გამოცხადდნენ. ნიჟნი-ნოვგოროდში არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა.

# რუსეთი და უცხოეთი

## საფრანგეთის ახალი სამინისტრო

საფრანგეთში ახალი კაბინეთი შესდგა: მინისტრ თავმჯდომარედ და სამხედრო მინისტრად დანიშნულია კლემანსო, გარეშე საქმეთა მინისტრად—პიშონი, შინაგან საქმეთა—პამსი, ფინანსების—კლოტცი, იუსტიციის—ნოელი, ბლოკადისა—ჟონარტი, შეიარაღების—ლუშერი, ტრანსპორტის—ლავეილი, საზღვაო—ლაიგე, ვაჭრობის—კლემენტელი, სურსათის მიწვდის—ბორეტი, ახალშენისა—სიმონი.

## ფრანგული პრესა ბოლშევიკების შესახებ

„ჰუმანიტე" სწერ: „დიდხანს არ გასტანს მაქსიმალისტების ზეიმი. მშრომელი ინტელიგენცია და ფიზიკელი სოციალისტები დასჭამენ ძალებს რუსეთის სახსნელად.

„ჟურნალ"-ი სწერს: მართალია მეტად მძიმე მდგომარეობაშია რუსეთი მაგრამ არის იმის შანსებიც, რომ მალე ჩარხი კეთილად მოტრიალდება. მაგრამ კვლავ შეცდომის ჩადენა კი აღარ იქნება საპატიო. რუსეთმა უნდა ძალა მოიკრიბოს თორემ მტრები მის გაყოფას ლამობენ".

## იტალური პრესა

გაზეთ ტრიბუნა" ბოლშევიკების მოქმედებას ცეცხლმოკიდებულ სახლის გარშემო ცეკვას უწოდებს. „ჟურნალ" ამბობს, დროებითი მთავრობა ვერ ჩაითვლება გადაყენებულად და ბოლშევიკებიც ვერ დაეპატრონებიან რუსეთსაო. „მესაჯერო" სწერს: ბოლშევიკები უკანასკნელ ლონეს მიმართავენ, რომ თავისი ნების ყოფა აგრძნობინონ და დაიმორჩილონ რუსეთი რომელსაც არა სურს უწესოება და ღირსების დაკარგვა. კონსულები დიდხანს არა გრძელდება. რუსეთის მდგომარეობა მოკლეხანში გამოირკვევა.

№ 8 Закавказскій Избирательный Округъ № 8

**Голосую за списокъ**

Грузинской Націоналъ демократической партій

**№ 8**

1. Кедія, Спиридонъ Малхазовичъ
2. Гвазава, Георгій Бежановичъ
3. Карумидзе, Шалва Александровичъ
4. Мачаваріани Іосифъ Константинович
5. Бежанидзе, Сулейманъ Бегъ
6. Церетели, Василій Георгіевичъ
7. Вешапидзе, (Вешапели) Григорій Георгіевичъ
8. Журули, Георгій Дурмишхановичъ
9. Гордезіани, Георгій Павловичъ
10. Иваницкій (Ингило) Рафаилъ Александровичъ
11. Кекелидзе, Корнелій
12. Нижарадзе, Реджебъ Бекъ
13. Торадзе, Александръ Давидовичъ

**ხმას ვაძლევ ქართულ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას**

**№ 8**

1. კედია, სპირიდონ მალხაზის ძე
2. გვაზავა, გიორგი ბეჟანის ძე
3. ქარუმიძე, შალვა ალექსანდრეს ძე
4. მაჭავარიანი, იოსებ კონსტანტინეს ძე
5. ბეჟანიძე, სულეიმან ბეგი
6. წერეთელი, ვასილი გიორგის ძე
7. ვეშაპიძე, (ვეშაპელი) გრიგოლ გიორგისძე
8. ჟურული, გიორგი დურმიშხანის ძე
9. გორდეზიანი, გიორგი პავლეს ძე
10. ივანიცკი, (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე
11. კეკელიძე, კორნელი
12. ნიჟარაძე, რეჯებ ბეგი
13. თორაძე, ალექსანდრე დავითის ძე.

ვისაც ბიულეტენი არ მიგიციათ, ამოსჭერით ამ შავ ჩარჩოში ჩასმული სია და მიეცით.

## დამფუძნებელ კრების არჩევნები
## სოფლად 19 გიორგობისთვეს თავდება

**თუ რაიმე მიზეზით ვისმეს საარჩევნო მოწმობა არ მიუღია, შეუძლიანთ მიიღონ თავიანთ საარჩევნო უბნებში.**
**ბიულეტენზე ხელის მოწერა არ შეიძლება.**
**ბიულეტენი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მისცეს.**
**ამომრჩევლები კონვერტებს საარჩევნო უბნებში მიიღებენ.**
**ამომრჩეველი ჩასდებს კონვერტში ბიულეტენს, დახურავს მას და ისე მისცემს კომისიის თავმჯდომარეს.**
**კონვერტში მხოლოდ ერთი ბიულეტენის ჩადება შეიძლება.**

## ეროვნული საკითხი
### უკრაინა და რუსეთი
### დამოუკიდებლობის უნივერსალი

გიორგობისთვის 8-ს საღამოთი ცენტრალ რადამ გამოაქვეყნა უკრაინის დამოუკიდებლობის უნივერსალი.

პროფესორ გრუშევსკის უთქვამს: მრისხანე მომენტი გვიკარნახებს უკრაინაში მთავრობის მოსაწყობად გაბედული ნაბიჯი გადავდგათ. უკრაინა ანარქიისა და სამოქალაქო ომის საშინელებათაგან უნდა ვიხსნათო.

რადამ უნივერსალი ფეხდგომელმა მოისმინა. უნივერსალით ცხადდება, რომ დღეიდან უკრაინა უკრაინის რესპუბლიკად იწოდება და იგი რუსეთის რესპუბლიკას არ გამოეყოფა. რესპუბლიკის ნამდვილი საზღვრები დამყარდება შემდეგში, როდესაც მთელი ერი თვის ნებას გამოამჟღავნებს.

უნივერსალის გამოცხადებას მოზღვავებული ხალხი დაუსრულებელ ოვაციებით და დიდების ძახილით შეეგებნენ. ისმოდა სიმღერა „შჩე ნე ვმერლა უკრაინა“ (უკრაინა ჯერ არ მომკვდარა).

მცირე რადაში უნივერსალმა 42 ხმა მიიღო, 4 თავი შეიკავა.

### უკრაინის დროშების დაბრუნება

სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა დიდის ზეიმით დაუბრუნა უკრაინას ერმიტაჟში და ფერისცვალების ტაძარში შენახული დროშები და ლიტავრები, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნეში უკრაინელებს იმპერატრიცა ეკატერინემ წაართვა.

## ბესარაბიის ავტონომია

ბესარაბიის მხედართა პირველ ყრილობაზე მიიღეს მოლდაველთა კომიტეტის წინადადება ბესარაბიის ტერიტორიალ ავტონომიის განხორციელებისა. ეს ყრილობა მოწვეული იყო რევოლუციონურ გზით, წინააღმდეგ უმაღლეს მთავარსარდლის აკრძალვისა.

## ეკონომიური ცხოვრება
### სურსათის მიწოდის სიძნელე

გზათა მინისტრის ცნობით მოსკოვის რკინის გზაზე შეჩერებულია 15000 ვაგონი სურსათი. 5,000 ვაგონი დანიშნულია მოსკოვისათვის.

### ანარქია გზებზე.

გზათა მინისტრს სარატოვიდან ატყობინებენ, რომ სადგურ ცნნასთან ჯარისკაცებმა გასტეხეს ორი ცისტერნი სპირტი და ათასგვარი უწესოება დაატრიალეს. წესიერების აღსადგენად გაიწვიეს პოლონელთა მესამე დივიზიის ჯარი. მაგრამ ამ ჯარმაც სიმთვრალე არჩია წესიერებას, წესიერების აღდგენის დროს მოკლეს 2 ჯარის კაცი და დასჭრეს 10-მდე. არეულობის დროს ბრბოს ერთი ვაგონი გამომცხვარი პური გაუტაცნია.

## უკანასკნელი დეპეშები

**დამფუძნებელ კრების არჩევნებზე პეტროგრადში ბოლშევიკებმა მიიღეს 415,586, კადეტებმა—246,628, სოციალ-რევოლუციონერებმა—149,644**

—

კრილენკო დვინსკში ბოლშევიკურ მთავარ ბანაკს აწყობს.

—

დამფუძნებელ კრების არჩევნები 73 ოლქიდან მხოლოდ 34 ოლქში ხდება.

—

ზავის ჩამოგდების დეკრეტი მხოლოდ მე-5 არმიამ გაიზიარა და გერმანელებს გაუგზავნა.

—

ლენინის დეკრეტით სახალხო კომისრების საბჭოს უფლება მიეცა ხაზინიდან მიმდინარე ანგარიშით 25 მილიონი აიღოს ხოლმე.

—

რადგანაც პეტროგრადი და მოსკოვი ბოლშევიკების ხელშია მოლაპარაკებაა დროებითი მთავრობის კიევში გადასვლის შესახებ.

—

გენერალისიმუსი ჟოფრი მთელ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა.

—

ბოლშევიკები სახლების ნაციონალიზაციის დეკრეტის გამოცემას აპირებენ.

—

იაპონიაში დიდი სამრეწველო კრიზისია, რადგან ამერიკა რკინეულს აღარ აძლევს.

—

მთავარსარდალი კამენშჩიკოვი ლენინის ყოველ ბრძანებას ასრულებს.

—

ლუცკი ბოლშევიკების ხელშია.

—

ამერიკელების მისია, რომელსაც რუსეთის რკინის გზის საქმე უნდა მოეწესრიგებინა წასვლას აპირებს.

**გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლეს ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან. ტელეფონი იგივეა 15—73.**

## ქრონიკა
### თბილისი

✦ **ეროვნული ყრილობა.** ეროვნული ყრილობა გაიხსნება სახელმწიფო თეატრში კვირას, 19 გიორგობისთვეს. ეროვნულ ყრილობას გახსნის ეროვნულ ინტერ-პარტიულ საბჭოს სახელით საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი. აირჩევა პრეზიდიუმი: თავმჯდომარე და ხუთი მისი ამხანაგი, აგრეთვე—ხუთი მდივანი, გარდა ამისა, მოწვეული იქმნება ცხრა მდივანი სრული საქმეების საწარმოებლად. სამანდატო კომისიის არჩევა მიენდობა თვით ყრილობას. მილოცვები მიიღება მხოლოდ უცხო სახელმწიფოების და ერთა წარმომადგენლებისაგან.

ყრილობის დღის წესრიგი: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი. (მოხსენება ნოე ჟორდანიასი). 2) საქართველოს თავად-აზნაურობის ქონების მიღება და მოვლა-პატრონობა. (მომხსენებელი კ. ნ. აფხაზი).

✦ **ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი დაიშალა;** მისი ფუნქციები დაეკისრა ამიერ-კავკასიის დროებითმა მთავრობამ.

✦ **გარეშე საქმეთა გამგედ** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა აირჩია თავისი თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორი.

✦ **სარწმუნოებრივ საქმეების განაწილება.** ამიერ-კავკასიის დროებითმა მთავრობამ ასე გაანაწილა სარწმუნოებრივი საქმეები: ქართული საეკლესიო საქმეების მეთვალყურეობა დაევალა შ. მესხიშვილს, სომეხ-გრიგორიანთა და სომეხ კათოლიკეთა—თუმანჯანოვს, მუსულმანთ—ხასმამედოვს.

✦ **ქართულ ეროვნულ ყრილობაზე** დასასწრებლად ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ აირჩია პარ. გოთუა.

✦ **ბინების რეკვიზიცია.** გიორგობისთვის 16 სხდომაზე ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ქალაქმა მოახდინოს კერძო ბინების რეკვიზიცია. რეკვიზიციის კანონ-პროექტს ქალაქის გამგეობა ამ ერთს კვირაში შეიმუშავებს და მორიგ სხდომაზე წარუდგენს ქალაქის საბჭოს.

✦ **უფულობა.** რადგან სახელმწიფო ბანკს ფული არ მოსდის პეტროგრადიდან, კერძო ბანკებსაც შემოელიათ ფული და ამის გამო კრედიტორებს სავსებით ვერ აძლევენ მათ ფულებს. ამ შემთხვევაში შედარებით უკეთეს პირობებშია სამეურნეო ბანკი, რომელსაც საკმაო თანხა ჰქონია შენახული.

✦ **შრომის ბირჟა.** გიორგობისთვის 25-დან განზრახულია გაიხსნას ქალაქის შრომის ბირჟა მადათოვის ქუჩაზე ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სასტუმრო „ლონდონ“-ში. ბირჟით სარგებლობა ყველას შეუძლიან და უსასყიდლოდ.

✦ **სურსათ-სანოვაგე.** გიორგობისთვეს 16-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მიიღო ერთი ვაგონი ხორბალი, და კერძო ვაჭრებისათვის: ჩირი 2 ვაგ., კოლოფებით თევზი 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., ცოცხალი ღორები 4 ვაგ., რკინა 1 ვაგონი.

✦ **სურსათის ურმებით გადმოზიდვა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას დღიურ საკითხად მიაჩნია სიმინდი გადმოზიდოს თბილისში კავკავიდან ურმებით საქართველოს სამხედრო გზით. ათი საბარგო ავტომობილი, რომლებიც სამხედრო უწყებამ აღუთქვა კომიტეტს სურსათის გადმოსაზიდად, გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

✦ **დაკარგული პური.** ჩრდილო-კავკასიიდან თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სახელობაზე გამოგზავნილი 80 ვაგონი ხორბალი დაკარგულა სადღაც ბალაჯარს აქეთ. ჰფიქრობენ, პური მოხერხებით რომელიმე სხვა ქალაქშია გაგზავნილი.

✦ **სურსათი.** გიორგობისთვის 16-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ ისესხა ქალაქის საჭიროებისათვის $3^1/_2$ ვაგონი ფქვილი. გიორგობისთვის 17-ს გამგეობას მოუვიდა 3 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგონი ხორბალი. საერთოდ ტფილისში სურსათი არ არის, ცოტაოდენი სანოვაგე თუ მოიპოვება, ისიც დამალული აქვთ ვაჭრებს და მხოლოდ თავიანთ მახლობელ ნაცნობებზე ჰყიდიან საშინელ ფასებში.

✦ **შეშა.** შეშის გადმოსაზიდავად ნებართვას (ნარიადს) აძლევს მხოლოდ ამიერ-კავკასიის კომიტეტი სათბობ მასალის საქმისა. მცხოვრებთა შორის შეშას საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ანაწილებს.

— მიუხედავად იმისა, რომ შეშით ვაჭრობა კოოპერატივთა კავშირს გადაეცა, ქალაქში შეშა გასასყიდად მაინც არ მოიპოვება.

✦ **ქართველ სტუდენტთა კრება.** დღეს, დილის 12 საათზე სოც.-ფედერალისტთა პარტიულ ბიუროში (ლორის მელიქოვის ქუჩა № 1, ძველი სემინარიის შენობაში (დანიშნულია თბილისში მყოფ ყველა ქართველ სტუდენტთა კრება. აარჩევენ დელეგატს ეროვნულ ყრილობაზე დასასწრებლად.

✦ **ქართ. ეროვ. პედაგოგიურ საბჭოს კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე სამოსწავლო ოლქის კომისარიატის ბინაზე (გოლოვინის პროსპექტი) დანიშნულია ქართული ეროვნული პედაგოგიური საბჭოს საგანგებო კრება.

✦ **მუსულმან მხედართა ყრილობა.** გიორგობისთვის 26-ს ტფილისში დანიშნულია კავკასიის ფრონტის მუსულმანთა მხედრობის დელეგატთა ყრილობა.

✦ **დასახიჩრებულ ჯარისკაცთა სამზრუნველო.** ტფილისში მოწვეულ იყო ამიერ-კავკასიის სამზრუნველო, რომელსაც მიზნად აქვს ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს დასახიჩრებულ ჯარისკაცებს.

### ქუთაისი

✦ **დიდი ცეცხლი.** (დეპეშა საკ. კორესპონდენტისაგან). გიორგობისთვის 16, ღამით ალექსანდრეს ქუჩაზე დაიწვა თევდორაძის სახლი, რომელშიაც მოთავსებული იყო სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიული ბიურო, გაზეთ „სოციალისტ-რევოლუციონერი“-ს რედაქცია, კოოპერატიული სასადილო და რამდენიმე მაღაზია. ზარალი რამდენიმე 10,000 მანეთს უდრის.

## დამფუძნ. კრების არჩევნების შედეგი თბილისში

№ 1—31,288. № 2—9,565. № 3—11,504. № 4—19,595. № 5—19,172. № 6—3.496. № 7—1,612. № 8—3282 № 9—252. № 10—321. № 11—407. № 12—433. № 13—4 № 14—2. № 15—794. № 16—48.

ამნაირად სამოქალაქო საარჩევნო უბნებში მონაწილეობა მიუღია არჩევნებში 72,714 კაცს, სამხედრო საარჩევნო უბნებში—29,061 კაცს, სულ 101,775 კაცს; ხმის მიცემის უფლება ჰქონდა 123,582 კაცს.

### თელავში

(საკ. კორესპონდენტისაგან)

არჩევნებში სოციალ-დემოკრატები ყოველ ნაბიჯზე არღვევდნენ საარჩევნო კანონის ელემენტარულ მოთხოვნილებებს. არჩევნების შედეგი ასეთია: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 1347 ხმა, დაშნაკცაკანებმა—594, ეროვნულ-დემოკრატებმა—325, ფედერალისტებმა 219, კადეტებმა—49. გლეხები დაშინებულია სოციალ-დემოკრატების მიერ და ვერა ჰბედავენ სხვა სიებს მისცენ ხმა.

ვ. ციციშვილი.

### ბათომში

არჩევნების შედეგი ქალაქში ასეთია: მენშევიკ ს.-დემოკ. მიიღეს 4732 ხმა, კადეტებმა 1056, სოციალისტ-რევოლუციონერებმა 976, ბოლშევიკებმა 312, ფედერალისტებმა 272, ეროვნულ-დემოკრატებმა 299, სიონისტებმა 278, სომეხთა სახალხო პარტიებმა 100.

### გუმბრში (ალექსანდროპ.).

არჩევნების შედეგი ქალაქში: დაშნაკცაკანებმა მიიღეს 6,982 ხმა, მენშევიკებმა—464, ბოლშევიკებმა—127, სოციალისტ-რევოლუციონერებმა—61, სომეხთა სახალხო პარტიამ—44, კადეტებმა—38.

### ოზურგეთში.

მენშევიკებმა მიიღეს: 1,898, სოციალისტ-რევოლუციონერებმა — 205, ეროვნულ-დემოკრატებმა—197, ფედერალისტებმა—57, ბოლშევიკებმა—21.

## კავკასიის კომისარიატის ბრძანება

კავკასიის კომისარიატმა გიორგობისთვის 15-ის თარიღით შემდეგი ბრძანება გამოსცა:

„პოლიტიკურ მომენტის განსაკუთრებულ პირობების და ცენტრალ საერთო სახელმწიფო მთავრობის უქონლობის გამო, გიორგობისთვის 15-დან ჩვენ ამისა ქვემოხელის მოაწერნი კომისარიატის წევრები შევუდექით თავთავიანთ თანამდებობის ასრულებას. კავკასიის კომისარიატს ეკუთვნის სრული სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება ამიერ-კავკასიის საზღვრებში. ხსენებულ კომისარიატს ემორჩილებიან ყველა სამთავრობო დაწესებულებანი და ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა მოხელენი. წინადადებას ვაძლევთ ყველა დაწესებულებებს და მოხელეთ საქმეების შესახებ კომისარიატს მიმართონ.

კომისარიატის თავმჯდომარე შრომის სამინისტროს საქმისა და გარეშე საქმეთა კომისარი ე. პ. გეგეჭკორი.

საშინაო საქმეთა სამინისტროს კომისარი ა. ი. ჩხენკელი.

სამხედრო და საზღვაო სამინისტროს კომისარი ა. დ. დონსკოი.

ფინანსთა სამინისტროს კომისარი კარჩიკიანი.

სახალხო განათლების სამინისტროს კომისრის ხან-ხოისკის მაგიერ—ხას-მამედოვი.

იუსტიციის სამინისტროს კომისარი შ. ვ. ალექსეევ-მესხიევი.

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს კომისარი მ. ი. ჯაფარიძე.

გზათა სამინისტროს კომისარი ხ. მელიქ-ახლანოვი.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს კომისარი ნერუჩევი.

სასურსათო საქმეთა სამინისტროს კომისარი ტერ-ღაზარიანი.

საზოგადოებრივ მზრუნველობის სამინისტროს კომისარი ოგაჯანოვი.

სახელმწიფო კონტროლის საქმეთა კომისარი ხას-მამედოვი.

# სროლა

უკანასკნელ დროს თბილისში ღამ-ღამობით აქა-იქ თოფის სროლაა. გიორგობისთვის 15-ს, ღამის 11 საათზე, ვორონცოვის ძეგლთან რომანიულს ნიადაგზე ხელჩართული სროლა ასტყდა. კაციც არის მოკლული.

გუშინ კიდევ შუადღის 3 საათზე ერევნის მოედანზე სროლა ასტყდა. თავზარდაცემული ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, ეგონათ, ეს არის ბოლშევიკების გამოსვლა დაიწყოო და მაღაზიების კეტვას შეუდგნენ. პანიკის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ქალაქის გამგეობის წინ მდგარა რამდენიმე ოფიცერი და მათ შორის პრაპორშჩიკი ლეონ ტაგიანოსოვი, რომელთანაც მისულა უცნობი პირი ფაფახში და ყავისფერ ტუჟურკაში გამოწყობილი და რევოლვერი დაუხლია და მაშინვე გაქცეულა. გაქცეულს მილიციონერებმა სამი მხრით ესროლეს ერთად, მაგრამ მკვლელი ხალხში გაერია და სომხის ბაზრისკენ თან მირბოდა და თან ისროდა. სროლის დროსაც მსუბუქად დაიჭრა ერთი პოდპორუჩიკი. მძიმედ დაჭრილი ტაგიანოსოვი საავადმყოფოში წაიყვანეს.

# ეროვნულ ყრილობის დელეგატებისათვის

1) სადგურზე თვალსაჩინო ალაგს იქნება გამოკრული დიდი პლაკატები ზეწარწერით გზისა და ბინის მაჩვენებლად.

2) სადგურზევე ყველა ცნობების მიღება შეიძლება რკინის გზის კომიტეტში, (სადგურის ჟანდარმთა ყოფილ ოთახში).

3) დელეგატებისათვის მუდმივი ბინა (ლოგინებით) მომზადებულია მე-23 ნომერ ლაზარეთში, რომელიც მოთავსებულია მეორე საქალო გიმნაზიის შენობაში. (დიდი მთავრის ქუჩა).

4) ყოველი ცნობების და აგრეთვე **სადელეგატო და სტუმართა ბილეთების მიღება** შეიძლება ფრეილინის ქუჩაზე № 11, სატექნიკო კომისიის მდივან დ. სულიაშვილთან დილის 1—3 საათ, და საღამოს 6—8 საათამდე, ხოლო კვირას 19 გიორგობისთვეს დილის 9—11 საათ. იმავე შენობაში.

სატექნიკო კომისიის თავმჯდომარე: **შ. ქარუმიძე.** მდივანი: **დ. სულიაშვილი.**

# სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა

ყველამ არ იცის იმ მუშაკთა მდგომარეობა, რომელთაც სინათლე შეაქვთ ხალხში. კალმით აუწერელია სახალხო მასწავლებელთა მძიმე მდგომარეობა. ჯამაგირის სახით ის იღებს თვეში მხოლოდ 90 მან. და 53. კიდევ კარგი, რომ ამ ჯამაგირს დროზედ იღებდნენ, მაგრამ ხშირად ხდება, რომ თვეში მხოლოდ 46 მან. და 53 კაპ. აძლევენ და ისედაც აუტანელ მდგომარეობაში მყოფ მასწავლებელს 3—4 თვის ჯამაგირი მიუღებელი აქვს ხოლმე. ამიტომ იყო, რომ სახალხო მასწავლებლებმა ენკენისთვის 28-ის საერთო კრებაზე დაადგინეს მოითხოვონ ჯამაგირის მომატება. შემუშავებული მოთხოვნილებები წარუდგინეს კავკასიის ოლქის სკოლების გამგე კომისიას ოლქის კომისარიატისათვის გადასაცემად. თანაც გააფრთხილეს, თუ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენ, ღვინობისთვის 1-დან მასწავლებლები გაიფიცებიანო. ღვინობისთვის ბოლო რიცხვებში კავკასიის მასწავლებელთა ბიურომ გამოუშვა მოწოდება, ნუ შეწყვეტთ სწავლა. გვპირდებოდნენ, ზომებს მივიღებთ თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაო.

სამინისტრო სკოლების მასწავლებელთა კრებამ დაადგინა მხარი დაუჭიროს მოწოდებას და უკიდურეს ზომას არ მიმართოს. ამნაირად, გაფიცვა ერთი კვირით გადაიდო, რაიც დაუყოვნებლივ ეცნობა მასწავლებელთა ბიუროს. გავიდა დანიშნული ვადა, მაგრამ სამინისტრო სკოლების მასწავლებელთ არავითარი პასუხი არ მიუღიათ.

გამოდის რომ მასწავლებელთა მოთმენა უსაზღვროა, მაგრამ საკითხია: რამდ უნდა ითმინოს მუდამ სახალხო მასწავლებელმა, როცა სამასწავლებლო ოლქის ზოგი თანამდებობის პირი, თუ მასწავლებელი 7-ას, 8-ას და ხშირად ათას მანეთს იღებს თვეში და სახალხო მასწავლებელს კი ძაღლურ პირობებში რაღაც გროშები ეძლევა.

სახალხო მასწავლებლებს თვით უმძიმდათ ასეთი მკაცრი ზომისადმი მიმართვა და თვენახევრის განმავლობაში აფრთხილებდნენ უფროსებს: შეისმინეთ ჩვენი ღაღადი, უკიდურეს ზომამდე ნუ მიგვიყვანთო, მაგრამ ამაოდ.

**თამ. ასლანიშვილი.**

# ყაჩაღობასთან ბრძოლა

(ქუთაისის ამბების გამო).

უკანონო ცხოვრება მრავალს შეიწირავს მსხვერპლად.

საზოგადოების უწესრიგობის მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობა ერთგვარ მოვალეობას შეადგენს ყოველ ადამიანისას. ხოლო, როცა მოლიპულ გზაზე დამდგარს ხელს უწვდის საზოგადოება, ფეხზე აყენებს, საზოგადოებას აძლევს ახალ პატიოსან შრომას შეუდგეს, ივიწყებს ბოროტ-მოქმედის წარსულს, მაგრამ არაფერი გამოდის და ნესტიან სატუსაღოდან მზის სხივზე გამოსული არ სტოვებს თავის მავნე ხელობას, მაშინ საზოგადოების, სათანადო უწყებებისა და პარტიების საქმეა ასეთი პირები ალაგმოს.

რევოლიუციამ ქუთაისში გაანთავისუფლა მრავალი ტუსაღი. რამდენად სამართლიანი იყო განურჩევლად ყველას განთავისუფლება, იქიდან სჩანს, რომ მრავალმა ვერ ისარგებლა მიცემული თავისუფლებით და გასწორების მაგიერ, ისევ შეუდგა ძველს, სამარცხვინო ხელობას...

სოფლად გავრცელებულა ქურდობა. შარა გზებზე მგზავრთ სტაცებენ ფულსა და ნივთს... დამცველი არავინ არის.

მაგრამ ყველაზე უფრო საშიში და საზიზღარი ის არის, რომ არა შუა ღამეზე, არა დაბურულ ტყეში, არამედ ქალაქში, მზიან-მხიარულ შუადღეს მყუდრო მცხოვრებთ აიძულებენ, გაიღონ მათ სასარგებლოდ ფული...

ხდება ნამდვილი ვაჭრობა.

ზოგი ვაჟბატონი პარტიის წევრიც კი არის თურმე...

მათგან გაძარცულები, დაშინებულნი ოფიციალურად ვერ ჰბედავენ განაცხადონ, მაგრამ, როგორც მთავრობის წრეებმა, ისე საზოგადოებამ, კარგად იცის, თუ ვინ და როგორ სჩადის ამ საზიზღარ საქმეს და რაიმე ზომების მიღების მაგიერ ჩვენ უსირცხვილო ღიმილით ვამბობთ ამ პირებზე: „საიდან აქვთ ამ კაცებს ამდენი ფულიო"?

მწუხარება მით ორკეცდება, რომ ეს ყაჩაღები გარიყულნი კი არ სდგანან საზოგადოებაში, არამედ მათ თან ახლავს საზოგადოების პატივისცემა, მათ ირგვლივ უფროსების ნება-დართვით და წაქეზებითაც კი თავს იყრის ახალგაზდობა—ეს იმედი ჩვენი მომავლისა—ირყვნება ეს ახალგაზდობა და გვექადის იტალიისებურად ყაჩაღთა ბრძანების ქვეშ თრთოლვას, ყაჩაღთა მიერ პოლიტიკური ცხოვრების გაძღოლას.

არ იქნებოდა ურიგო, რომ დღევანდელი მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს, სარევოლუციო ორგანიზაციები ზომებს მიიღებდეს, თორემ სახელი უტყდება არა ერთ პარტიას, რომელშიაც განსაკუთრებით ებებს აღწერილი, სამწუხაროდ მცირე ნაწილი საზოგადოებისა, ასეთს წევრებს, არამედ ყველას განურჩევლად.

თვით გაძარცულნიც მოვალენი არიან ამოიღონ ხმა და თვისი დუმილით ხელი არ შეუწყონ ავყირ-წახდენილ ბოროტ-მოქმედთ...

დეე, იცოდეს ყველამ, რომ ამ დაავადებულ დღეებშიაც დარჩენილა წრეები, ჯგუფები და პიროვნებანი, რომელნიც ამ უბედურების თავიდან ასაცდენად დროსაც არ დაზოგავენ და საშუალებასაც გამონახავენ.

**არგონ.**

# მოწინავე რაზმი

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?

**ორბ.**

(შემდეგი *)

ამ კითხვას ნათელს ჰფენს იგვეთი სარწმუნო წყარო, ვით დაბადება (ბიბლია).

ქვეყნის შექმნიდან მეცხრე თაობა დაიწყო ლამექმა, რომლისაგან დაიბადა თობელი. ეს იყო პირველი მჭედელი ანუ, როგორც ამბობს ტექსტი (დაბად. 4,22), „კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა". მისი ძმა კი იობალი იყო „გამომაჩინებელი საფსალმუნისა და ებნისა" (4,21). მეთერთმეტე თაობაში იაფეტს ეყოლა ძენი თობელი და მოსოხი (=მესხი) (10,2). ლამექის თობელს ებრაული დაბადება იხსენიებს თუბალ-კაინად, რომლის სახეობა, უსლარის სიტყვით, არის აგრეთვე თუბალ-კინა.

იოსებ ფლავიოსი ირწმუნება, რომ თობელისაგან წარმოიშვნენო თობელნი, რომელთაც აწ ჰქვიანო ივერი, ხოლო იბერი და ივერი ხომ იგივე სომხური ჩვენი წოდებაა—ვრაცი (=ურაცი, ურელი, ურ-ქალდი ანუ, როგორც ჩვენ გვგონებთ, ივერ-ქალთველი, ივერ-ქალ-თობელი, ანუ ქალთველი=ქართველი).

საგულისხმო ის არის, რომ თვით „თუბალ-კაინში" ანუ „თუბალ კინაში" ეს კინა გამოხმაურობს ჩვენებურ (მეგრ., ინგილ.) რკინად. ხოლო კლასიკურ მწერლების მოწმობით მეტალურგიის პირვანდელ სამშობლოდ ითვლება საქართველო. მათზე დამყარებული აღმოსავლეთის მკვლევარი ლენორმანი ამბობს:

„ფინიკელებს გაჰქონდათ: ოქრო, რომელსაც თავიანთ მადნებში იძენდნენ კოლხები, კალა ბრინჯაოს გასაკეთებლად, რომელიც თავიანთ მთებიდან გამოჰქონდათ ივერთ და ალბანელებს, ტყვია, და ვერცხლი, რომელიც იმავე ქვეყანაში მოიპოვებოდა, შემუშავებული რკინეულობა და მადნეულობანი, რომელიც ქალიბების მთებში იპოვებოდა და რომელმაც ამ ხალიბებს სახელი გაუთქვა, ეს მადნეულობა იყო: ბრინჯაო უაღრესის ხარისხისა, რკინა ზოდებად და ნაჭრებად დაჭედილი, მეტადრე ფოლადი, რომლის შემუშავება მაშინ არც ერთ სხვა ხალხმა არ იცოდა და აქ-კი, სადაც მეტალურგია რკინისა პირველად მოიგონეს, ფოლადის შემუშავება იცოდნენ უხსოვარ დროითგანვე".

ყველა ნათქვამი, ჩვენის ფიქრით, აცხადებს ამირანის გვარ-ტომობას: იგი უნდა ყოფილიყო იმ ქვეყნიდამ, სადაც მის მიერ ცეცხლის მოტანის შემდეგ გაიმართა პირველი სამჭედლო. იგი უნდა ყოფილიყო ქართველი ღმერთ-კაცი და ეცხოვრა ქვის ეპოქის მიწურულებში.

რაიც შეეხება მის სახელების ეთიმოლოგიას, შეიძლება წარმოიდგაროს ყოს აფხაზურ სიტყვიდამ ამრა *), რომელიც ნიშნავს მზეს. და ეს ხომ თვით წყაროა ცეცხლისა, რომელიც მოიტაცა ამირანმა. ქალი იო კი პრომეთეის სანახავად მოსული, ალბად იყო ის ორგიველი ქალი იო, რომელიც, ჰეროდოტეს სიტყვით, მოიტაცეს კოლხებმა, და მერე, როდესაც ბერძნებმა გაიტაცეს მედეა და კოლხებმა დაკმაყოფილება წაუყენეს, ბერძნებმა შემოუთვალეს, თქვენც მოიტაცეთო ჩვენი ასული იო! ამ-ოდ ალბად იგულისხმება ის ქეთუ, რომელიც ამირანმა მოიტაცა „საკრისრიდამ". თვით საინგილოში ნიშნავს მშვენიერების მოსაწონებელს ეპიტეტს —იო! საქართველოს შემკული არემარე ძველადგანვე ითვლებოდა სამშობლოდ ღვინისა, მრავალგვარ ყვავილებისა და სამკურნალო ბალახებისა. საკმაოა შევადაროთ ქართული „ღვინო", ლათინურს Vinum, რუს. ვინო, რომ ვთქვათ, სად უნდა ყოფილიყო თავდაპირველი სამშობლო ვაზისა, ვენახისა. არგონავტიკელები რომ მოვიდნენ კოლხიდას, აქ ნახეს მეფის აიეტის სასახლე, დაბურული ვაზით. ამ ვაზების ხეივანში იყო ოთხი აუზი: ერთიდგან გადმოჩქეფდა რძე, მეორიდან ღვინო, მესამიდან სურნელით-მდუღარე ზეთი, მეოთხე-კი ისროდა წყალს—თბილს ზამთარში, ცივს ზაფხულში.

აიეტის ცოლი გეკათა განთქმული იყო სამკურნალო საქმეში, მან თვითონ აღმოაჩინა aconitum-ი (ხვანჭკალა), აზავებდა შხამებს. მისი ქალი ცირცეა განაგრძობდა დედის საქმეს, აღმოაჩინა თვისებანი სხვა და სხვა ძირკვ-ფესვეულობისა, თვისის შრომის მოყვარეობით დიდი აღმოჩენილობანი მოიპოვა, ასე რომ არავის დაუგარდებოდა ამ მეცნიერებაში (დიოდორე სიცილიელი). მოპოვებულ იყო აგრეთვე აბზინდა, რომლის ბარად ბერძნულ ბიბლიაში გვხვდება „აბსინთოს" „პრომეთეოს წამალი" მოპოვებულ იქმნა მაშინ, როდესაც პრომეთეოსი მიმსჭვალეს კავკასიონის მწვერვალზე და წვეთა იწყო პრომეთეოს სადმთო სისხლმა. ყვავილი რომელისაგან ამზადებდნენ ამ წამალს, იზრდებოდა ალაგის სიმაღლე; იგი ესვენა ორ ღეროზე და ფერით ჰგავდა „კროკუს", მისი ფესვი-კი უმი ხორცის ფერისა იყო. ამ ფესვების წვენი შავი ფერისა იყო, მსგავსი მთის მუხის წვენისა. ეს იხმარებოდა ვით წამალი. ვინც წაისვამდა ტანზე პრომეთეოს წამალს, იმ დღეს ღონით აჯობებდაო ყველას (აპ. როდოსელი).

კარტოგრაფის ხელოვნების შექმნა მცირე აზიის ბერძნებს ვერ მიეწერება. მათზე წინ იგი იცოდნენ კოლხეთის ვაჭარ-მოგზაურებმა. აპ. როდოსელის მოწმობით, კოლხებმა ძველადვე შეისწავლეს თავიანთ წინაპართაგან ხელოვნება ღსანიშნავად ფიცრებზე ხმელეთისა და ზღვის გზებისა; ეს ფიცრები წინად ქვისა იყო, მერე-კი ხისა. მათ ეწოდებოდა „კვირბისი", ის სახელი, რომელიც ერატოსთენმა უწოდა ათინას შემოღებულ ძველ კანონებს. ეს ფიცრები უცილობლად იყო პირველი დასაწყისი ლანდ-კარტებისა და ალბად ეს რუკები აქვნდა ხელში ჰეროდოტეს ჩამოსათვლელად ჩრდილოეთის სავაჭრო გზებისა ბორისთენს და პონტოს (კ. რიტტერ).

**მ. ჯანაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართ." № 254.

*) ამგვარივე სახელი 2000 წლებში ქრ. წ. ერქვა ნაირის მეფეს ამრაფელს =ამრაფალს. ამ სახელში თითქო გამოსჭვივის აფხაზურ-ქართული ამრა+ფალ, ბზე უფალი. შეად. მამფალი, დედფალი (=დედუფალი).

# კორესპონდენცია

## ბორჩალოდან

**შულავერი.** ბორჩალოს მაზრაში რაც საუკეთესო ადგილებია და ნოყიერი მიწები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შორს გადაკარგულს ს. დიდ-გომარეთს, სადაც ზამთრობით მგზავრობა დიდს ვაისჭირს შეადგენს. სულ თათარ სომხობას უჭერია. ანარჩევები ჩვენს ბეჩავ ქართველობას, ამაზედ არის ნათქვამი: „შინაურს გარეული აგდებდაო". ბევრი გაღატაკებული უადგილ-მამულო აქვე მაზრაში დაქსასულნი თათარ-სომხების მებაღეებათ ან სხვა სამუშაოზედ დამდგარან.

დღევანდელ დამფუძნებელ კრების არჩევნებას ბორჩალოში აქაური ქართველებიც ემზადებიან, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი ბევრი მათგანი არა თუ ბორჩალოს მაზრაში, არამედ მგონია ამ ქვეყანაშიც არ ირიცხებიან. აქაურ აშუღლების მოქმედებით, ისეთი პირნიც კი გაუშვიათ სიებიდან, როგორც არის გქიმი მაზრისა, თვალსაჩინო ადგილი უჭერია, მათ ცხვირ წინ სცხოვრობს, აშუღლებისათვის კი არ არსებობს, მასთან სხვა თანამდებობის მოხელენი. ვსთქვათ მათ შეიძლეს განაჩივრება, იმ ბეჩავმა ხალხმა რა ჰქნას რომელსაც არ ესმის ძალა საქმისა და არც იცის როგორ მოიქცეს. რა იქნება სხვა სოფლებში ჯერ არ ვიცით. ასე ვიყავით, ასე ვართ და გვეტყობა ასე უნდა ვიყვნეთ ებლაც, ღმობიერნი, სათნოიანნი და ქედ მოხრილნი თუნდ ჩვენზედ უუმდაბლესთანაც. ებლა მაინც შევხვდების გზას უნდა დავდგეთ, გავიღვიძნეთ, გამოვფხიზლდეთ და დავინახოთ, რომ ჩვენ ჩვენთვის უნდა ვიმუშაოთ, თორემ სხვის ნამუშავარი ჩვენ არა გვრგებს. ჭეშმარიტად „ძამი არს მსახურებად თავისა თვისისათვის".

**ვეფხვი.**

რედაქტორი **ზახარია ფიჩხაძე.**

# კალენდარი

## შაბათი, გიორგობისთვის

## 18

მე-4 დღე ქრ. შობის მარხვისა.

**ქართვ.** წმ. წინასწარ. აბადიასი, წმ. მოწ. ვარლაამისა; ღირს. მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა საკვ. მოქმ.

**კათოლ.** წმ. მაქსიმესი.

**სომეხ.** წმ. მოც. ანდრია და ფილიპესი.

**მაჰმად.** შაბე 15 რ. საფარისა 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** შაბათ 17 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყ. შექ.

ვისაც ბიულეტენი არა გაქვთ, ამოსჭერით მე-3 გვერდზე შავ ჩარჩოში ჩასმული სია და მიეცით.

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა გაზეთის შესახვევი № 6. გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"